



# თეატრი



საუკუნელ-კვირათ ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი.

2 მარტი

გამოცემა

№ 9

პირაობით

1886 წელს.

ფასი „თეატრი“-სა წლით ხუთი (5) მანეთი, ნასევან წლით სამი (3) მანეთი, სხვა გადით ხელის მოწყობი მადლება. ფალგა ნომერი „თეატრი“-სა დანს საში შაური. ხელის მოწყობა მიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მდ. ჭილაძების წიგნის მადაზიაში. გარეშე მცხოვრულთავის ადრესი: თბილის. ვ. რედაქცია „თეატრი“.



## ბიბლიოგრაფიული ჟანრები \*)

მე, თუ ჩენ? მე თუ თქვენ?

შენ, შენ! შენ? თუ მე?

მე, თუ შენ?

მსწრაფლ დაგვაგდო მომტირადი სოფელში!

ერთი ძველი მუხამბაძის გუშა.

მაგრამ გასაოცარი ლაგიეს პატრონი, ჩეკმიერ ნიშანში ამოღებულის წერილებისა, ცოტა ქვეით თოთოვე აღვიარებს: ჩენ, ე. ი. ქართული საზოგადოება იქამდი მისულია, რომ მას აღარაფერი თავის საკუთარი საქმე აღარა აქვს, რომ ღირდეს ქართულმა გაზეთმა ყურადღება მიაქციოს! (ვაშა, ვაშა, ჩენს გმირებას!) „მთელს აგებულობას, სჩივის ახალი დროის იერემია, თითქოს სიღამბლე და (ჰ)მართიან, ვართ და ესჭამთ მხოლოდ ესეც იმ დრომდე, ვიდრე საცოხნელი არ გამოგველევა და ხელიდამ არ გამოგველება ჩენის უთაურობით. (გული ნუ გაგტენით,

ჩემო ბატონო, ღმერთი მოწყალეა! თქვენ სიცოცხლე შევეღილეთ ღმერთსა, თორემ საცოხნელს ორგორ გამოგილეთ?) ცური, ერთმანეთის მტრობა, განაგრძობს აეტორი, გაუტანლობა, ბეჭლობა, ენა ტანიობა, ერთმანეთის ლონძლება და თრევა, აღამიანის ღირსების უარ ყოფა (კუჭლობა, კუჭიანობა, უსინათლობა, ხველა, ყიჯანა ხველა, წითელა, ქუნთრუშა და სხვა ათასი გარამი და ღეთის რისხეა, ღუმატებო ჩენის მხრით) — ამისთანა თვისების პატრონებს რა საქმე უნდა გვქონდეს?.. მაშასადამე უბრალო საღი ჭკუა გვეუბნება, რომ იმ ორიოდე პირს, რომელთაც კიდევ შერჩენიათ ნათელი გონება და ფხიზელი გრძნობა, უნდა ჩერა გაეცალნენ ამ ყველა საძაგლობით და მთლად მოწიმლულს საზოგადოებას, რომ თითონაც არ მოიშამნენ. „საღაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, ნათქვამია. მეტად ახირებული, ღონკიხოტური ლოგიკა და თავ-განწირულობა უნდა ჰქონდეს კაცა, რომ „არამც თუ დანახვა, წარმოდგენაც ეზიზლებოდეს“ და ამისთანა წამხდარი საზოგადოების წინამძღვრლობას და სამსახურს კი კისრულობდეს კაცი! როგორც ერიო, ისეთი მღვდელიო, სამართლიანად არის ნათქვამი. რომელიმე საზოგადოებისა და მისს წარმომადგენლთა შორის ყოველთვის მტკიცე კაშირი და ღამოკიდებულება არსებობს. მს ისრეოთ საანბანო კეშმარიტებაა, რომ მეონია თვით „ივერიის“ ბრძენთა-ბრძენიც ვერ გაგვიძელენ შულლს და კამათობას. მაში თუ საზოგადოება აქამდე წამხდარი და

\*) იხილე *თეატრი* № 8.

გახტნილია, თვით მისი უპირველესი წარმომადგენელი, რომელთაც „ივერიაში“ თავი მოუყრიათ, რაღა შეილები უნდა იყვნენ? სჩანს რომ ეს ვაკბატონები მხოლოდ იმიტომ იღვწიან და მოქმედობენ საზოგადო ასპარეზედ, რომ „საუკნელი“ არ გამოელიოთ. ჩვენ ამისთანა საზოგადო მოლვაწეობა არ გვესმის და თეთო წარმოდგენაც კი გვეზიზლება. უკელავერს წარმოედგენდით და იმას კი ვერა, რომ ყველაფერში ფრთხილი და წინ დახედული იქ. ჰავეჭაძე თავის თავს საკუთარის ზელით ესრე უწყალოდ გაშოლტავდა საჯაროდ. ის მწერალი, რომელიც ღრმა ფილოსოფიის და საზოგადო პრინციპების სახელით წვრილმალ ანგარიშებს მისდევს და ჯამბაზობს, ყოველთვის ამ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდება. ის არ შეიძლება არ ემსგავსოს იმ მონას, კორალ სამაც ნება ნებეთ, რომ არ მონას, კორალ სამაც ნება ნებეთ!

მეკობრობა ყელა სახელმწიფოოთა კანონდებულებით აღკრძალულია, მაგრამ ფათრაუის თავიდამ ასაცილებლად მეკობარნი თავიანთ ხომალდზედ იმ ქვეყნის ალამს ააფრიალებენ ხოლმე, რომელის გემებსაც სრული უფლება აქვთ იმ ზღვაზედ სიარულისა. ბ. იქ. ჰავეჭაძემ ამ შემთხვევაში ლიტერატურული მეკობრობა დაამტკიცა: ე. ი. რაღაც გაცვეთილი ფილოსოფიის აღმით ხელში, ვიღაცა კერძო პიროვნების საბრძოლველად გამოეიდა და ეს არს მიზეზი, რომ ლოგიკამაც ულალატა და უბრალო სალმა ჭყამაც.

თავი და თავი საგანი „ივერიის“ წერილებისა არის იმ მიზეზის აღსნა, თუ რისთვის არ შეუძლიან ერთად ერთს ქართულს გაზეთს შინაურს საქმებზედ გაასი. სვად იყო, თუ კარგად ამ კითხვაზედ პასუხი მისცა ავტორმა გაზეთის მე 15 №-ში და იქვე უნდა გაეთავებინა და გათავებულიც არის. არავითარი ლოგიკური კავშირი ამ საგანთან არა აქვს შემდეგ სამს მოწინავე წერილში აბლაბულასავით გაბმულს აჭიაბაჭის „შინაზედ“, „შინაურზედ“, „მე“ და „ჩევნზედ“, მაგრამ მექოთნე რის მექოთნეა, თუ საითაც უნდა, იქით ყურს არ გამააბავს. ან კი რა საჭიროა ბევრი თავაზიანობა და ცერტონია ყოვლად მომთმენ ქართველ მკითხველთან. ჰავეჭაძე სხვას უკითხავს გრძელ ლექციებს ლიტერატურულს ზრდილობაზედ, თორებ თითონ ყველაფერი ეპატიება, პირ-და-პირ კისერში ხელს ჰკიდებს და შეათრევს საბრალო მკითხველს ერთს საშინელს ჯავ-ნარიან წერილმანში, რაღაც „მე“ და „ჩევნს“ სამფლობელოში. გაოცებული მკითხველი ეკითხება: „სად ერეკლე, სად... კოდელი ნინოვო? — მაგრამ რა გზა აქვს... გასაკვირველია რა კოშებს,


რომელ ცხრა თავიან დევგბს ეომება ფესტივალზედ აღეწის ავტორი თავის ფარ-ხმალს და შუბის ტარებს. ახალი დონკიხოტის სასაცილო მდგომარეობა იმაშია რომ ნამდვილად არც ეს კოშები, არც ეს დევგბი არსად მოიპოვებიან და სრულს ნაყოფს შეადგენენ ავტორის შერყეული და ავადმყოფი ფანტაზიისას. ავტორს რომ კვალში ჩაუდგეთ და ფეხ-და-ფეხ მიკვეთ, თითქმის ყველა ნაბიჯზედ დავიჭიროთ აზრის სიყალებში, ლოგიკის უსუსურობაში, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს და მასავით ღობებურებს მოდება არც არავერს ლიტერატურულს სახელს მოგვიხვეჭს. ბ. იქ. ჰავეჭაძეს, რომ დაუჯეროთ, მთელი ქართული ლიტერატურა საიდანლაც მოვარდილს ბაშიბუზუებს დაუჭირიათ ხელში, რომელთაც არავერი არა სწავლოთ, საზოგადო და კერძო ვერ გაურჩევიათ, თითქმის კაბალებივით სახლში უცვევიან და მყუდროობას უშოთებენ დარბაისელს ოჯახის შეიძლებს. «საგანი უნდა? — ამბობს ავტორი ამისთანა ლიტერატორებზედ, (იხ. „ივერიის“ მე 19 №-ში მოწ. წერილი) მეზობელი იქ არა ჰყავს! თუ როგორმე მეზობელი თვალში ვერ მოსდის და მიზეზიც ვერა მოუნახა-რა, თვითონ მაინც ხელ-და-ხელ შეპანხლავს ერთს რასმეს სამარცხეინო ამბავს თავის მეზობელსა (მგონა, მუზაბელზე სჯობია) და სხ. გარდა ამისა, ეხლანდელი ლიტერატურული ზნეობა იქამდე დაცუმულია, რომ თურმე ჯაშუშივით ოჯახებში იპარებიან, ბოძს უკან აეტუზებიან ხოლმე, აცა იქნება რამე მიზეზი მომცეს, სამარცხეინო ბოძზედ გავაკრა და თავზედ ლაფი დაესხა! და სხ. აი ამისთანა ურცხვი და მართლა უმართებულო ცილის წმების შემხანსლავი ჰებუდაეს კიდევ რაღაც ლიტერატურულ ზრდილობინობაზედ გაას! თუ „კნიაზ ილიას“ ლიტერატორებად მიაჩნია ყველა ის პროვინციალური ჭორების შემხანსლავნი, რომლების ნაჯლაბებიც ყოველ დღე მოსდის, ან კიდევ ზოგიერთი თვისი მუდმივი თანამშრომელნი, რომელნიც მისს რედაციაში გოგოლის ჩიონენიკებივით გამოჭიმულან, მაშინ შეიძლება ცოტა რამ სიმართლე მოიპოვებოდეს მის სიტყვებში, თორებ, ვისაც ჩვენში ლიტერატორის სახელი ეთქმის, მათ შესახებ ეს, კიდევ ვიმეორებ, ურცხვი ცილის წამება. ლიტერატურაში მოწინააღმდეგესთან ამისთანა იარაღით ბრძოლა შეეფერება რომელიმე ზაქარია ჭიჭინაძეს, ანუ მის პრინციპალს ანტ. ფურცელაძეს და არა ილია ჰავეჭაძეს. რა უფლებით უნდა თხოულობდეს მოწინააღმდეგისაგნ თავაზიანობას და ზრდილობიან მოცყრობას ის, ვინცა კადრულობას ამისთანა ცილის წამებას და საზოგადოების წასისინებას თავის მეტყეზედ? ნამეტნავად უკანასკნელს წერილში (იხ. მე 19

ქ.ში) თაქს ცედარი იმაგრებს ფილოსოფოსის მანტიაში გახვეული აეტორი, თან-და თან წიწმატდება სიღარბაისლებს ჰეკარგავს და თქვენ წინა სდგას საძაგლი დავარძლით და გესლით სახეს ფარისეველი, რომელიც ორის ხელით გულში იძარტყუნებს, თვალებს ეშმაკურად ატრიალებს და მეზაბელზედ უჩვენებს მაყურებელს: მე კი არა, აი ეგ არის ქვეყნის დამქცევი, «მაშენის პერა ი რაზიონის ძეგავი!.. ჰეკა მაგასო!.. აი თურმე რა ყოფილა საჩული, ბოლოს რა გამოიწურა შევი ბუნდითი გარემოცული ფილოსოფიური შეჯელობიდამ „მე“ და „ჩვენზედ“. თქვე დალოცულილო, თუ კი ხბოს თავის მეტს არა ფერსა სთხოულობდით რაზედ შეაწერეთ ამოდენად ან თქვენი თავი, ან ჩვენ? ამდენი ჰექა-ქუბილით და გრგორით შეშინებულმა მკითხველმა, მეოთხე დღეს ძლიეს გაიგო, რომ გადახალისებულს «ივერიას» ვიღაცა მეტოქენი ჰეკოლია, რომლებისაც ცოტა არ იყოს შიშიცა ჰეკონია გულში, პირ-და-პირ ვებრძოლება ვერ გაუბენია და მათ, ესე იგი მკითხველებსა, სთხოვს წამალი რამ უბოეონ მათი ძირიანად აღმოფხვრისათვის“. რა წამალი უნდა იყოს ეს, დარბაისელს. «ივერიას» თვისი მკითხველის მიხედრაზედ მიუგდია. თქვენ ი: ითონ ამოირჩიეთ, — რა უფრო საძაგლობა და უპატიოსნობაა ლიტერატურაში: რომელიმე ვაჟ-ბატონის მკაცრად გაშოლტვა, როდესაც მან ამ გვარი მოპყრობა დაიშახურა, თუ ამ გაშოლტვილისმიერ ამ ნაირი წასინება საზოგადოებისა თავის მოწინააღმდეგზედ?.. მაგრამ ამითი არა თავდება „ივერიის“ არევ-დარეული შეჯელობა და ღომხალივით არეული ლოგიკა. სეტორის ფიქრით, მისი აღმაშეოთებელი ლიტერატორები, არიან ვიღაც ბიჭ-ბუჭა მჯდანელები, რომელთაც «ან-ბანი ძლიეს დაუძლევიათ და სხვა-ში არსად არიან გამოსადეგნი, აუღიათ თავი და ლიტერატორებენ». ცხალია, რომ აღმშეფოთებულ გულის ენებათ ტვინი მთლად დაუბნელებია, თორემ იმისთვის ნიჭიერს და დახელოვნებულ მწერალს, ვის კალამსაც ჩვენი საკამათო წერილები ეკუთვნის, როგორ არ უნდა ერმოდეს რასა სწერს და რა დასკენა გამოდის იმისი შეჯელობიდამ? თუ ქართული ლიტერატურა ისეთი ლაბარი და დაბამუნებული რამ არის, რომ ანბანის მცოდნე კანცელარიაშიაც არ ვარგა მწერლად და ლიტერატორობს კი, მაშ თქვენ რაღა. უნდა ბრძანდებოდეთ ამ ლიტერატურის მეთაურო? ან თუ ისინი ისეთს მიკროსკოპიულს ძალას წარმოადგნენ, რომ მათ გონებით სალაროში ანბანის მეტი სხვა არაფერი იარაღი არ მოისოება, მაშ სასაცილო არ არის თქვენისთვის ძლიერის ნიჭის და ცოდნის ჰატრონისთვის მათთან ბრძოლა და კრუპის ზარბაზ-

ნებით ორ ფუთიანი ყუმბარების ყრა კოდანული და უძეცებების შენები? ჩეენ ასრე ვფიქრობთ, რომ უნიჭობას და უძეცებებას ლიტერატურაში თავის დასაკლავი დანა თან დააქვს და მათ წინააღმდეგ სიმაგრების შენება და ზარბაზნებით ომი იმასა ჰვაეს, რომ ერთი შედალი ვაჟ-კაცი საბრალო ანწლებს ხმლით დაერია. თუ მაინც-და-მაინც ბზუილით თავი მოგვაძაგეს, იმათთვის ერთი ცხარე მათრახი სრულიად საკმაო იქნება. რაც უნდა მედიდურად იყოყაჩოთ, მაინც კელაფრიდამ სჩანს, რომ თქვენი მოწინააღმდეგენი ნამდვილ ლიტერატურულს ძალას წარმოადგენენ და ძალიანაც შეუწუნებისართ. მაშ თუ ასრეა, სჯობია, რომ გადაკიბ-გადმოკიბით ლაპარაკს თავი დაანებოთ და იმ წესით და იარაღით ებრძოლოთ, რაც პატიოსან ლიტერატურაში მიღებულია. თორემ მუდამ წუწუნით თავის შებრალება მკითხველ საზოგადოლოებასთან მათი ბეჭლობა, მათ წინააღმდეგ პირველის წასისინება, დამის გუშაგივით კავილი: *Caveant consules!* — აი ესენი არიან ჩვენი მოლალატენი და წამწყმენდელნიო, — სწორედ რომ ლაბარი და ქალაჩუნა კაცის ხელობაა.

დაგით სოსლანი.

(დასასრული)



P. S. ბოდიშ ეიხდი მკითხველებთან, რომ ჩემი პირველი წერილი ისე კორექტურული შეცდომებით საქსე გამოეიდა: ზოგიერთი სიტუაცია ისეა შეცვლილი, რომ მთლად წინადაღების აზრი იცვლება. მაგ. სადაც უნდა იყოს „შეეხაგებინათ“, იქ არის „შეერიგებინათ“. „ბაგიდას“ მაგიერ „მაგრამ“ არის და სს. თქვენზედ მომეტებულად მე ვიჯავრე, მაგრამ ამწყობა და კორექტორმა ეს მიპასუხეს: „არა უშავს რა ყველიერიათ! ამისთანა საბუთის წინაშე რაღა გვეთქმის?..“

აგრძარი.

\*

\*\*

(ვუძღვი ჩ. ს. 1 - 6).

ადევებულება, შავს ზღვასა გერთხს დაგრძავ და შეგანავაზე, გრთი, შემოგვრით უძრავ გლდეს თვისს ადგილსა მოგა-შერევ;

ზეცის გრძელნებასა ჩემის ხმით უციად ხმას ჩავწევეტინებ, მაგრამ ჩემს გულსა მოუკარულს სატრიულს გერ დაფათმა - ბინებ!

— მარჯვი მთაზედა ცხრა წალას ბარგსა აიტანს, ერთი მიწადუთ ჩემი ყრმა ციხის ჭედებსა გაიტანს, გაჭირების დროს მდინარით ცხრაზიცა წეალას მაიტანს, მაგრამ ეს გული სატრიულსა საშორეს გა კერ აიტანს!

შაპ-განტრას.

### ვაი მართლის მოშეღლას.

მოთხრობა სთუქალას

ნათარგმნი

«ომ! მს ქვეყანა სიცრუეთ და ფარისევლობით სავსეა; ვაი! შვეუნის ორ პირულ და მატყუარ სიტყვებს! ვაი! შვეუნის დაპირებათა! სამოთხე იქნებოდა ამაოება, რომ ამ ბიწიერებათა ფესვები არ გაედგა».

ასე ამბობდა ახალწლის წინა ღამეს ყმაწევილი კაცი ზენელი, რომელიც თავის საწოლზე ტანს იხდიდა და ტან-სატრელს გაბრაზებული აქეთ-იქით ისროდა; საცოდაქმა თითონ არ იცოდა რას ჩადიოდა.

— რას მოვეღლოდი და რას არ მიქადოდა ცხოვრება; ვინ მოთვლის-რა არ დამპირდა სოფელმა, მერძე? შესრულდა დაპირებული? მს ჩემი ღრო დაწყევლილია, — ესმი არის სიცრუის, ფარისევლობის და მატყუვრობის.

ამ სიტყვების შემდეგ ზენელი, სასო წარკვეთილი დაეცა საწოლში. ის იყო საბანში უნდა გახვეულიყო, დაევიწა ყოველივე მწუხარე ფიქრები, უცბად გაშალა ხელები. საბანზე დაინახა მნათობი სიმგრძლე, რაშიდაც იდგა პატარა თითოს ტოლა რაღაც არსება. მს არსება თავისი ჭკვიანური და ბრწყინვალე თვალებით დაცინებით შესცემრდა ახალგაზდა ყმაწევილს.

გასაოცარი თვალები ჰქონდა ამ არსებას: ხან მწვანეთ, ხან ცისფრათ, ხან წითლათ, ხან შავად და ხან მიხაკის ფრათ ელვარებდენ. შეცრად ეს გასაკვირვალი მოჩვენება შეიცვალა დაპრანჭულ ბებერ ქალათ. მერძე დალმეჭილი ბებერი ისევ გარდიქა პატარა ლამაზ არსებათ.

შეშინდა ჩემი ზენელი და შესძახა მოჩვენებას:

— ვინ ხარ?

— მე... სიცრუე გახლავარ, — ღიმილით უპასუხა მოჩვენებამ.

— სიცრუე! — გაოცებით წარმოსთქმა, შეწეოს და ამ ღროს წამოწიგან საწოლიდგან, მოღრ გაცხრისო და მით გავანთავისუფლო ქვეყანა შენი მანქანებისაგან! ზენელი ბექრს სცდილობდა დაეჭირა სიცრუე, მაგრამ ვერა გზით ახერხდებდა ამას: წაავლებდა რა ხელს პატარა ფიგურას, იმ წამს ხელიდგან გაუსხლტებოდა.

— ასე ადვილი დასაჭერი არ არის სიცრუე; ღიმილით სთქვა პატარა არსებამ. რისთვის გინდა რომ დამიჭირო და მოაკლო ქვეყანას უძვირფასესი მეგობარი?

— შეძირფასესი მეგობარი!?

— დიალ, არავის არ შეუძლია ცხოვრება უწევობოთ.

— როგორ? რა ნაირად?

— სიცრუე კი ვარ, მაგრამ ამას მართალს გეუბნები. ნუ თუ ფიქრობ — უწევოდ ერთი ღლე გასძლო.

— შემიძლია, არა თუ ერთი ღლე, მთელი ჩემი სიცრუე კმაყოფილობით გავატარო უშენოთ.

— აბა სცადე. ხეალიდამ მოგშორდები. ბაჭირებაში ეროვნერაც არ მოგხედამ; ხეალ საღამოს კი მოვალ შევიტყო — გეჭივრება ჩემი თავი თუ არა.

— მერწმუნე უპასუხოთ დარჩები, სასიზღარო არსება! ამ სიტყვებზე ზენელმა ხელი მოუქნია სიცრუეს, სიცრუემ მუშტი აიცდინა და კრავატის ქვეშ შეძრა.

— მშეიდობით ხეალამდი, ქვეიდამ ამოსძახა სიცრუემ.

— ვნახოთ! მიუგო გენელმა და ძილს თავი მისცა

\* \*

— მომილოცამს ახალი წელიწადი, ბატონი! ვისურებ თქვენთვის ყოველივე ბედნიერებას. ღმერთმა ორივე ღიდან გვაცოცხლოს ამ სიტყვებით მეორე ღლეს მიუღლოცა მზარეულმა ქალმა ზენელს ღლე-სასწაული.

— ეგ მე სრულიად არა მსურს, — წაიბუტეტუტა ზენელმა, იწმენდღა თვალებს და ვერ მოისაზრა, ამ ღროს, რომ სიცრუე წაცდა, — რაც მაღლ მოერჩები ამ ცუკ ქვეყანას, ჩემთვის სასიხარულო იქნება, და აღარ შევხედამ შენ დაჭმუჭნულ სახეს, რომელიც მაგონებს მეავე კიტრს!

— ჩემი სახე გაგონებთ მეავე კიტრს! ძრიელ მადლობელი ვარ; იცოდეთ-პატიოსანი ქალი ვარ, და მაგის თქმას არავის ნებას არ მივცემ!

— დიალ! დიალ! შენმა-მზემ არც ერთ ჯერ  
მოგიტყუებივარ! უპასუხა ზენელმა.

— მე მომიტყუებიხარ! შევიძლიათ სხეა მზა-  
რეული ქალი მოახოთ.

— თქვენ, პატიოსანო ბატონო, საჩუქრის მა-  
გიერათ ახალ წელიწად დღეს ილანძლებით.

ზენელმა გაბრაზებული აიღო წალები, მზარეუ-  
ლი ქალი ამ დროს შეშინებული გავარდა და მიაძ-  
ხა ბატონს: თქვენ თავს თქვენ ემსახურეთ, მე გშორ-  
დებით.

— არ ვიცი, მართლა, რისთვის აეტეხე ჩხუბი,  
მერმე ამ კუდიანთან დღეეანდელ ბელნიერ დღეს. ტყე-  
ლი კი ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, მაგრამ, სხვა კი  
ამაზე უკეთესი იქნება? ვრახოთ — როგორ ჩავიცამ  
დღეს უიმისოთ, სოქვა ზენელმა და შეუდგა ტანის  
ჩაცმას. ზასწმიდა წალები, დაკერა პერანგს ფულაქი,  
დაიბანა პირი ციფის წყლით, მოსძებნა ხელთათმანი  
და დაეშეზადა საერთოოთ.

— ჯერ ბიძია უნდა ვნახო, ის დაჩევულია ჩემ-  
გნით ადრე მილოცვას. მხლა არ უნდა ვაწყენინო,  
ავად არის და შეიძლება მალეც მოჰკვდეს, ჰუკერი-  
და ზენელი.

\* \* \*

— მომილოცამს ახალი წელიწადი, ბიძიავ, მო-  
მილოცამს! წარმოსთქვა მან როცა შევიდა ბიძიას  
ოთახში. იმ დროს ბიძია იჯდა საერთელში, მწარედ  
შეწუხებული ნიკისის ქარებიდგან. მან იცოდა ბი-  
ძიას არ იამებოდა — ენც აეადმყოფობაზე დაუწყებდა  
ლაპარაკს. ამისთვის იმას უნდა ეთქვა, მოხარული  
ვარ, რომ გხედამ ეგრე კარგათ, მაგრამ ენა აებნა  
და უთხრა: მოხარული ვარ რომ თქვენ ავათ ხართ,  
იავადმყოფეთ, იავადმყოფეთ და ნუ შემაწუხებთ თქვე-  
ნი მორჩენით.

ბიძიამ შევმუხნა სახე, ის არ მოელოდა ამ გვარ  
მოულოდინებელ მილოცვას.

— შენ ვჰორნებ შესცდი, ქირფასო ძმისწულო!  
შენ შენს ფიქრზე არა ხარ, თუ მართლა გსურს შენი  
მახსუცებული ბიძიას სიკვდილი, რომელიც შენთვის  
თავდადებულია!

— მსურს მალე თქვენი მემკვიდრეობა, უძირფასე-  
სო ჩემო ბიძიავ, წაიბუტბუტა ზენელმა, რომელიც  
იწმენდა ცივ ოფლს შეუბლზე, — იცით თქვენ რო-  
გორ ძეირფასი იყავით ჩემთვის; ამ სიტყვებზე კიდევ  
აიბნა, მაგრამ განაგრძო, — თუმცა ყოველთვის მად-  
რიელი ვიყავი თქვენი, მაინც მსურს მემკვიდრეობის  
მიღება — ხომ კაცი სამუდამოდ ვერ იცოცხლებს,

მემკვიდრეობა კი თქვენი ჩემთვის ძრიელ ჭარბებულ  
ლოთ დარჩება.

— ქმრა! ბამეცალე! იქნება ღეინო გალაპარა-  
კებს! თუ მართლა გსურს ჩემი სიკვდილი, ჩემთვის  
სულ ერთია, ჩენ შორის არაეთარი ერთობა აღარ  
იქნება ამის შემდეგ. უცადე ჩემს სიკვდილს, შენ ჩემ-  
გან ერთ გროშსაც არ მიიღებ. მხლა გამეცალე აქელ-  
გან, თუ არა, უბძანებ ძალათ გაგადონ.

როცა ქუჩაზე გამოვიდა, ზენელმა წაიშინა თავ-  
ში ხელები.

— რა უბედურება შემემთხვა, რაები ვიბოდე  
და უსიამოვნება მივაყენ ბიძიას! მთელი წელიწადი  
ვცდილობდი თავი შემეცეარებინა, ეს რა მომივიდა!  
ვჰონებ აქ რომ კედელი იყოს თავი ვახალო!

ამ დროს დაეჯახა კედელს კი არა პირ-და-პირ  
მომავალ კაცს, რომელიც თავ ჩაღუნული მოდიოდა.

— როგორ დაუფიქრებლად მიეხეტები, შეცყვი-  
რა ამ კაცმა. — უშაკმა იცის, უთხრა ზენელმა, მაგ-  
რამ იმ წამსვე შეცვალა ხმა, როცა იცნო თავის მო-  
ვალე. აა!.. ბატონო, ზე! ძრიელ მოხა... მაგრამ  
ენა აებნა და ზენელმა უთხრა: ძრიელ მეწუინა თქვე-  
ნი შეხვედრა.

ზემ ძალ დატანებით გაიღიმა და უთხრა: მიხა-  
რის, რომ ხუმრობის გუნებაზედ ხართ! როგორც გხე-  
დამთ ბიძიადგან მოდიხართ. ძრიელ კარგი მოხუცია!  
როგორ არის თქვენი მემკვიდრეობის საქმე?

გროშსაც არ მიტოვებს, წარმოსთქვა სურვილის  
წინააღმდეგ ზენელმა.

— არაუკრს გიტოვებს! არ შეიძლება, თქვენ  
ხემრობთ!

— ხუმრობისთვის არა მცალია. მს არის ეხლა  
ვიყავი იმასთან.

— მაშ იფიქრეთ კარგათ რას გეტყვით: ერთი  
კვირის შემდეგ უნდა ჩამაბაროთ ჩემი ფულები, თუ  
არა გიჩიელებთ. გესმით თუ არა?

— მგლა მაჯლდა! წამოსთქვა ზენელმა და შეუდ-  
გა გზას.

თავის უფროსი შინ არ დახვდა, მან ეს გარე-  
მოება ჩასთვალა მოულოდნელ ბელნიერებად, რადგა-  
ნაც ელოდა კიდევ ახალ უსიამოვნებას. დასტოვა თა-  
ვის კარტოჩა და ცოტათი დაშეიდდა. — რას ნიშ-  
ნავს ბიძია, მოვალე და მზარეული ქალი? ჰუკერ-  
და — როცა ყიდულობდა მაღაზიაში საუკეთესო ჟვა-  
ვილების თაიგულს, თავის საცოლლოსთვის. ის იყო  
დაპატიჟებული სადილათ თავის საცოლლოს დეიდას-  
თან. როცა იყოდა თაიგული, შეუდგა გზას და გა-  
დაწყეიტა ენცსთვის თავისუფლება არ მიეცა. საცო-  
ლლოს შეხვდა სიყვარულით და მასთან ლაპარაკს გადარჩა

შევიდობიანათ, მაგრამ როცა დეიდას ემუსაიფებოდა, ვერ ახერხებდა ლაპარაკს იმ გვარ სიყვარულის ხმით, როგორც უწინ; ალექსიანი სიტყვები უჩერდებოდა ყელში და შეშინებული ამტენ უსიამოვნებისაგან დაიწყო ყოვლად უმნიშვნელო მუსაიფი.

მაგრამ ბოროტი ბედი მიინც არ ასცილდა სა-დილის ბოლოს დეიდამ ასწია ამ სიტყვებით სტაქანი და მიუბრუნდა ზენელს: ახ, რა კარგი იქნებოდა, წე-ლიწადები გადიოდეს და ჩვენზე არ სტოვებდეს ნიშ-ნებს, ზენელმა ვერ შეიმაგრა თავი და წამოიძახა:

— თქვენ, ძვირფასო დეიდავ, არ უნდა ესაყვე-ლურებოდეთ წელიწადებს, თქვენ თან-და-თან ბერდე-ბით; ახალგაზღდებით უნდა ეთქვა, მაგრამ წამოისცდა «ბერდებით».

დეიდა სცილობდა დაემალა უკმაყოფილება ლიმილის ქვეშ და ჰერთხა: რამდენი წლისა გვინი-ვართ მე?

— ორმოცდა — ათის მეტი არ იქნებით; აქაც ოცდა-ათის მაგიერად წაცდა ორმოცდა-ათი.

დეიდას აუტყდა ხელება, რომლის მიზეზით გა-ვიდა ოთახილგან. ზუღა მოსული მობრუნდა დისწუ-ლი, ზენელის საცოლო, დეიდას ოთახილგან.

— რას ნიშნამდა დეიდას წყენა არ მესმის, მერ-მე დღევანდელ დღეს?

— მე თვითონ არ ვიცი — მიუგო ზენელმა — ორმოცდა-ათის წლის არ იქნება თუ?

— რასაკვირველია მეტისაც არის, მაგრამ თქმა რა საჭიროა. ის თავის დღეშიაც არ მოგიტყვებს ამას შენ.

— ნეტავი შენ არ გაწყვინებდე და დავიმსახუ-რებდე შენს სიყვარულს, ჩემო კარგო, დეიდა მალე მოგვიტყვებს; ზენელი ამ სიტყვებით ცილობდა დაემ-შვიდებია საცოლო, მაგრამ აქაც მალე ბედმა უმტ-ყუნა.

— ნეტავი ვიცოდე — გაწყვეტინა საცოლო სიტყვა — მართლა მე ვარ პირველი შენი სიყვარული, როგორც ხშირად გითქვამს, მითხარი მართალი! შენ ჩემს წინეთ არავისთვის გაგიმტადებია სიყვარული?

ზენელს ქრუანტელმა გაუარა ტანში და ცდი-ლობდა როგორმე აეცინა პასუხი; უფრო მომეტე-ბულათ დაუწყო ქალს ალექსი, მაგრამ ქალი არ ეშ-ვებოდა.

— ჯერ კითხვაზე უნდა მიპასუხო; ვინ იყო პირ-ველი, რომელსაც განუტხადე სიყვარული?

ზენელი ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა, არ იცოდა რა მოქერხებინა.

— პირველი როგორც მე მახსომს .. დიახ! მე

არ ვცდები, გაიჭიმა გენელი, დღეს არ შექმნდა შეს-ნება სიმართლეს გადადგომოდა.

— იყო ქალი პოლკოვნიკისა, პატარა მერი. როცა ის დადიოდა სკოლაში, მე უცდიდი იმას გზა-ზე, რომ მეთქვა იმისთვის ერთი ორი სიტყვა, ან გა-დამეტა წერილი.

— ის იყო პირველი — უთხრა ხმის გაგძელებით საცოლომ — მაშ მეორე ვინდა იყო?

მეორე! მეორე! — გენელი ბრუნამდა როგორც ბზრიალა — მეორეს მე გავეცანი ტანცაობის გაკეთილ-ზე, ის იყო ლიზა, ქერა და ...

— მერმე?

— მერმე! ლამაზი მოსამსახურე ქალი, რომლის ლიმილი მომწონდა მე.

— შემდეგ?

შემდეგ ქალი სახლის პატრონისა.

შემდეგ კადევ?

— მერმე ლამაზი აქტრისა.

— აქტრისის მერმე?

— მერმე შენ, ჩემო საყვარელო! — ღრმათ ამო-ოხრა, მიიწია და უნდა ეკოუნა ხელზე.

მალი ადგა გაბრაზებული.

— მგ ხუმრიბთ თუ მართალს ამბობთ! თქვენ უველას ეუიცებოდით სიყვარულზე?

შევლა ამ ქალებს მე შევფიცე სიყვარულზე გა-ჭირვებით — გაიმეორა გენელმა.

— თქვენ ამის შემდეგ კიდევ ბედავთ შეეხოთ ჩემს ხელებს! გამეცალეთ და არ იფიქროთ მეორე-ჯელ დამენახოთ!

გენელს მეტი გზა აღარ ჰქონდა, უნდა წასუ-ლიყო.

ნახევარი საათის შემდეგ, მწარეთ შეწუხებული იჯდა ყავახანაში, ხელში ეკავა გაზეთი და სრული-თაც არ კითხულობდა.

მემკეიდრეობა, ნდობა, ქორწინება — ყოველივე გაქრა? ამის შემდეგ ლირს კიდევ სიცოცხლე!!!

— მომილოცმს ახალი წელიწადი, ჩემო ძირ-ფასო ახალგაზდა მეგობარო! უცბათ გაიგონა გენელ-მა, იმის წინ იდგა განთქმული ტეატრის რეცენზენ-ტი ლონი. — მე მოგიტანე შენ სასიამოენო ამბავი: წავიკითხე შენი თხეზულება, რომელიც გამომიგზა-ნეთ გადასათვარიელებლად. დაწერილია კარგათ: მშვე-ნიერი ენით, ცოცხალი სიტყვებით, ერთი სიტყვით ყოველივე ლირსება ნაწერში; უნდა გაეაცნო საზო-გადოებას იმის ლირსება სცენაზე.

გენელი შესცეკროდა მის წინ მდგომ მოამბეს, როგორც დამნაშავე სამართლის წინაშე. შემდეგ მო-

ვიდა გონს. თუ გამოიხსნიდა ეინშე მას უბედურებისაგან, ისევე ლონი. თუ ჩემს თხზულებას წარმოადგენენ და მოეწონებათ, არ ეიქნები ერთიანათ დალუპული. როცა ჩემი სახელი გაითქმება უსათურდ საცოლო უარს არ მეტყვეს, ფულის ანგარიშიც გამისწორდება და დაუმტკიცებ ბიძას, რომ მე იმის სიკვდილი არა მსურს.

— ვგონებ კიდევ შეგვიძლია დავიწყოთ ჩემ-ტიციები მომავალ კვირას, ასე რომ ამ ზამთარში თამამათ შეგვიძლია წარმოვადგინოთ. მართლა—თქვენ მიიღეთ ჩემი დაწერილი ლექსი? გქონდათ დრო თუ არა რომ გადავთვარიელებინათ? დიალ! დიალ! დიალ-ყო მან. გრძნობდა, რომ უახლოვდებოდა ხელ-ახლავ გაჭირვების წამი, მომიტევეთ, მეტი არ შემიძლია დაერჩეო თქვენთან, მე მიცდიან...

— განმიზიარეთ ერთი წამი.—ლონმა წაავლო გენელს ხელი.

მითხარით თქვენი აზრი, როგორც გრძნობთ. მე სიმართლე არ მეწყინება. რას ფიქრობთ ჩემს ლექსზე?

გენელმა ველარ უწინააღმდეგა ბედა.

მე ვფიქრობ თქვენი ლექსი უველა ლექსებზედ სუსტია, რაც წამიკითხამს. არ მესმის თქვენისთანა ჰქონა გახსნილმა კაცმა როგორ დაკარგით დრო ამისთანა უაზრო ლექსზე.

— ნულარ შესწუხდებით თქმისათვის, ძვირფასო მეგობარო! თქვენი შენიშვნა გულ-მწვავია. იქნება მომეტებული სასტიკიც იყოს, სიმართლე არ მეწყინება, მაღლობელი ვარ. აი კიდევ რა უნდა მოგახსენოთ: ამ ზამთარში ველარ მოასწრობ შენი თხუზულების წარმოდენას—რადგანაც მეტის მეტი სერიოზულია: საზოგადოებას უფრო მხიარული მოსწონთ. იქნება გადაასწოროთ, და ერთი ანუ ორი წლის შემდეგ შეიძლება წარმოვადგინოთ.

ამ სიტყვებით ჩეცენზენტი მოშორდა.

ახლა ეს ახალი დარღი,—სთქვა გენელმა, საჩქაროდ გამოვიდა ყავახანიდამ და წავიდა სახლში. როცა შევიდა თავის ბნელს ციის და მიულაგებელ ოთახში, ტანჩაცმული დაეცა კრავატზე, ასე რომ კრავატმა რყევა დაიწყო.

ზენელი წამოხტა. მს რა ამხანა? ზანჯარაში იჭყიტებოდა დილის სხივები. იმის კრავატთან იდგა მოხუცებული მზარეული ქალი; მილოცეით მიაწოდა იმას ერთი ფინჯანი ცხელი ყავა.

— ბედნიერათ გაგატარებინოთ ეს წელიწადი. ვისურებ, რომ დიღხანს, დიღხანს გვეცოცხლოს ერთათ.

გენელი წამოხტა ფეხზე. რას ამბობთ? დღეს მისამართ გენელი წელიწადია?

— დიალ, მაშ რა არის? ახალი წელიწადია. გუშინ საღამოს აქეთ კარგათ გეძინათ?

გენელი მივიღა ფანჯარასთან. ქუჩაზე მიღიოდნენ სხვა-და-სხვა ჩატარებული ხალი, ისმოდა ზარების რეკა, ჭიშკართან იდგა სახლის პატრონი, მხიარულად თავს უკრავდენ და ულოცამდენ.

— დღეს მართლა ახალი წელიწადია.

— გენელი გახარებული მოქმედია მოს უცებულ ქალს და აკაცა მოჭმუნებულ ლოკაზე.

— ახალი წელიწადია! შოველივე ისევ იმ მდგომარეობაშია! მემკვიდრეობა! საცოლო! მე არავისთვინ არ მიწყენინებია! აი ახლანდელი დრო! სიმართლეზე ფრთხილათ უნდა ვიყოთ, თორემ ღუპავს აღამიანს. მაშ რა დიღი ბედნიერი ვარ სიზმარი რომ გამოდგა. ამის შემდეგ ძრიელ გმაღლობა, ჩემო ძეირფასო პატარა სიცრუევ! უშენოთ ძნელი შექმნილა ცხოვრება.

მარად ბადაბანოდება.

#### ვეულილი სიყვარულისაგან \*)

დრამა 5 მოქმედ. თხზ. დონ-მანუელ ტამაისი და ბაჟსისა

#### სცენა IV

ბლდარა მარტო, მერე მევე.

აღდარა. ამანაც ასე—უნდა დამტოვოს? ხეალ მიდის იგი! დიახ, დრო არის ამაყმა ქრისტიანმა დამცირებული თეისი მონა!.. ცოტა ხანს ვფიქრობდი ის დედოფალი იქნება მეთქი... მს შესაძლებელი არ არის. მაგრამ რატომაც არა? ის რომ რაღაც განსაკუთრებითი აღტაცებით სულ იმაზე ლაპარაკობდა... მს რომ იმ გვარი სიყვარული არ იყვეს, როგორსაც ხელქვეით გრძნობას თეის დედოფლისადმი? როგორ გავიგო ეს? ამ კაცს დედოფალი რომ უყვარდეს კიდევ, დედოფალი რომ თაყვანსა სცემს თავის ქმარს?.. მაგრამ განა არ შეიძლება მთელს ქვეყანას სცემდე თაყვანს... მე მზათ ვარ ვაპატიო ამას, თუ მე არ უყვარებ, მაგრამ თუ ამას სხვა უყვარს, ამას კი ვერ დაეთმობ. ვინ არის მანდ? (მივა კიბესთან)

\*) იხილე „ოქატი“ № 8.

მეფე. (შემოდის შუა კარებიდამ და აჩერებს პლ-დარას) რისთვის მირბისართ, მშევნიერო პლდარა?

ალდარა. თავი დამანებეთ.

მეფე. ზეუიცები ღმერთს, რომ თქვენისთანა მე-ლიდური სოფლელი მშევნიერი ქალი არ მინახაშს.

ალდარა. და მე თქვენისთანა თავ-ხელი რაინდი.

მეფე. თქვენ მე თავხელს მეძახით?

ალდარა. დიახ, თავხელობაა იმისი დევნა, ვისაც არა სურს გიპასუხოთ რამეში.

მეფე. სკაპილიონის პატრონის ბიძაშვილი რო-გორც პრინცესა ისე ამაყობს.

ალდარა. მე უფრო პრინცესა ეარ, მინამ სკაპი-ლიონის პატრონის ბიძაშვილი.

მეფე. როგორ!

ალდარა. ზაიგეთ სიმართლე, მე არა მსურს დავ-მალო, მე სკაპილიონის პატრონის ბიძაშვილი არ გახ-ლავარ.

მეფე. უცნაურ საიდუმლობას მიაშეკრავებთ, სინიორა. მე წინათვე სამართლიანად ვიყავი მიხვედ-რილი, რომ თქვენი წოდება გამოგონილი წოდება იყო. ვე უფრო კარგი! და მეც არა ეარ საწყალი გიდალგო, როგორცა თქვენა ჰევიქრობთ, მე...

ალდარა. თქვენ ვიღა ბძანდებით?

მეფე. მე—ფლამანდიის შესანიშნავი გვარის ჩა-მავალი ეარ.

ალდარა. (განხე) ამას ჩემი შეელა შეუძლიან.

მეფე. მას აქეთ—რაც ჩემთა ბედის ვარსკელავმა მამიყანა ამ სასტუმროში, თქვენი ნახეა საჭიროებად გადამექუა. თქვენმა სილამაზემ ისრე ძრიელ იმოქმე-და ჩემზე—რომ მისი გავლენისაგან თავის დახსნა შე-უძლებელ საქმეთ გადამექუა. ჩემი გული გეკუთვნით თქვენ; თქვენი ბაგიდგან წამონადენი ალერსიანი სიტყ-ვისთვის მე მოგცემ სიმღიდრესაც და ჩემს უფლებათა; მოგცემ ჩემს სიცოცხლეს! ბახსომდეთ: ხეალ მე ბურ-გოსში მიედივარ...

ალდარა. მით დიდებულებასთან ერთად?

მეფე. დიახ! წამოდით თქვენც ჩემთან და საჩუქ-რად რაც გრებოთ ისა მთხოვეთ. უოველ გვარ თქვენ სურვილს მე დავაკიაყოთილებ.

ალდარა. რამოდენად დიდი არის თქვენი უფ-ლება?

მეფე. ის თანასწორია ჩემს სურვილთან.

ალდარა. თქვენ მეფის მეგობარი ბძანდებით?

მეფე. მეგობარზე უფრო მეტი.

ალდარა. მისი დაახლოებული ბძანდებით ხომ?

მეფე. თქვენ შეეძლიანთ სთქვათ—რომ მე და მეფე ერთი და იგივე ვართ.

ალდარა. მე რომ მომენდომა—სასახლში უკარის მიმიღებდენ?

მეფე. თქვენ იქნებოდით სასახლის მანდილო-ნად.

ალდარა. როგორ? ჩემი შესანიშნავი ჩამახელო-ბის გამოუშეკრებლად?

მეფე. თქვენ ხომ სკაპილიონის პატრონის ბიძაშვი-ლის სახელითა სცხოერობდით. უფრო ადვილი არ არის რომელიმე გრაფის, ან მირკიზის ნათესავი დაირ-ქოთ.

ალდარა. თქვენთვის ხომ მადლობისათვის საკ-მარისი იქნება მე მნახოთ ხოლმე?

მეფე. დიახ!..

ალდარა. მე მინდა მოვიფიქრო...

მეფე. თქვენ ნუ გავიწყდებად—რომ ხეალ უნდა გავიდეთ აქელგან.

ალდარა. პასუხს მოგცემთ.

მეფე. არა, არა, ჩემი ბელინიერებავ, საჭიროა ეხლავე გადასწყვიტო ამ სასტუმროს ახლო ტახტ-რევნები გვიცდის ერთგული კაცებით; თქვენ ამა-ლამვე უნდა გზას გაუდგეთ.

ალდარა. მაშ უკელაფერი მზად არის?

მეფე. შეელაფერი.

ალდარა. იქნება ჩემს ძალად წაყვნას ლამობ-დით!

მეფე. შეიძლება.

ალდარა. (მოშორდება) და იქნება მთელს ჩემს სიცოცხლეში არ წაეიდე ბურგოსში?

მეფე. (ცდილობს მის დაკავებას) როგორ, თქვენ მიხვალთ?

ალდარა. (მიღია) მე თქვენ ხომ გითხარით—უნ-და მოვიფიქრო მეტქი.

მეფე. (უკან მისდევს) სინიორა!

ალდარა. იქონიეთ მოთმინება. (კიბეზე მიღის და თავის ოთახში შევა).

## სტენა V

მეფე, მერე სკაპილიონის პატრონი, დედოფალი და დონა მლევრა.

მეფე. როგორც მეგონა, საქმე უფრო უკეთე-სად მიღია. მე ბეგრჯელ მიფიქრია, რომ მიყეარს; ეხლა კი ვეიცა სიცოცხლეს—რომ მიყეარს იგი, მის-მა მიუხდომელმა ყოფა-ქცევამ, შეუბოვარმა უარის

თქმამ, მისმა ჩემდამი სიძულვარემ, რომელსაც მე დაჩვეული არა ვარ, უფრო უარესად გააძლიერეს ჩემს გულში ისეც გაძლიერებული ცეცხლი. მაგრამ მოვიგებ მის გულსაც. (სტოლს ხელს დაკრამს) შენ, ეი, სკაპიონის პატრონო...

სკაპიონის ჰაცრონი. (შევა შუა კარებში) რას მიბძანებთ?

მეფე. მოდი აქ, ვერაგო, ბატ. სკაპიონის პატრონო—მატყუარავ, ბატ. ტყუილად დარქმულო ბიძავ.

სკაპიონის ბაცრონი. რა გნებავთ?

მეფე. მე შენ გეუბნები, რომ შენი ნათესავები — ისეთივე ნათესაობაა, როგორც შენი კურდლლები, რომელსაც მიართმევ ხოლმე შენ სტუმრებს.

სკაპიონის ჰაცრონი. მეორუეთ კადეც?

მეფე. შეველაფერი შეტყობილი მაქვს. დამიგდე ყური რას გეუბნები.

სკაპიონის ჰაცრონი. ბატონი ბძანდებით.

მეფე. ვინა გყანან ამ სასტუმროში?

სკაპიონის ჰაცრონი. რამდენიმე მდევარნი...

მეფე. მხლა რას აკეთებენ აქ?

სკაპიონის ჰაცრონი. შველანი ერთად ჭრეხე ბივითა ყრიან.

მეფე. მარგი. სხვა კიდევ ვინ არის?

სკაპიონის ჰაცრონი. კიდევ კაპიტანია, დონ-ალევარი დე-მსტუნიგა.

მეფე. მს ის ხომ არ არის, რომელზედაც ამბობენ, რომ ავად არისო?

სკაპიონის ჰაცრონი. დიახ, ის არის.

მეფე. (თავისთვის) მე ეგ ვერაფერს დამიშლის.

სკაპიონის ჰაცრონი. კიდევ რა გინდათ მკითხოოთ?

მეფე. ზამოკითხვა კმარა, ეხლა უნდა გიბძანო.

სკაპიონის ჰაცრონი. მოვისმენ თქვენ ბძანებასაც.

მეფე. პირველად — სუსველგან სანთელი უნდა გააქრიო.

სკაპიონის ჰაცრონი. და მერე — ბნელაში რა უნდა გავაკეთოთ?

მეფე. თუ ბრუკიანი არა ხარ, ამასაც დაინახავ.

სკაპიონის ჰაცრონი. პასუხი მომწონს.

მეფე. მოგწონს, თუ არ მოგწონს — ეგ სულ ერთია ჩემთვის. შენ, დამიგდე ყური.

სკაპიონის ჰაცრონი. მერე?

მეფე. მერე სუსველა აქ მყოფთ კარები დაუკრი.

სკაპიონის ჰაცრონი. დღეს თქვენ მხიარულადა ჩართ, აი!

მეფე. ამ კარებს კი ნუ დაჰკეთავ ჭურუნებს. ჩემ (კარებზე) მე მალე დავბრუნდები მასკით მოკაზმული ოთხი კაცით.

სკაპიონის ჰაცრონი. აი, აი! მს კაცი ჭკუაზე შეშლილა.

მეფე. მე რომ დავბრუნდები, შენს ბიძაშვილს ქალს მოეიტაცებ.

სკაპიონის ჰაცრონი. ამისთანა გულწრფელს კაცსაც არ შევხედრივარ. ამის განძრასვიდანა სხანს, რომ ეს ვლამინდელია! იმისთვის რომ ჩვენი მეუე ქარიანია, განა სუსველას გვიქრის ქარი. ან ხომ არ გინდათ დაუძახო ბიჭს და კისტის კვრით სასტუმროდ-გან გაგიძახო.

მეფე. მრთი კიდევ დამრჩა სათქმელი.

სკაპიონის ჰაცრონი. პიდევ რა სათქმელი აქვს თქვენ მოწყალებას.

მეფე. როგორც შენ, ისევე მეც არა ვარ ის, ვინც შენა გგონივარ.

სკაპიონის ჰაცრონი. ვინა ბძანდები, ბატონო! ვინმე თვალთ-მაქური რაინდი.

მეფე. მე მეფე ვარ.

სკაპიონის ჰაცრონი. ლმერთო ჩემო! მეფე!

მეფე. თუ ჩემს ბძანებას დაუკონებლივ არ აასრულებ, ხვალვე ჩამოხრმაბილი იქნები.

სკაპიონის ჰაცრონი. ბატონო... მე... თქვენო დიდებულებავ...

მეფე. შველაფერი მითქომს.

გაბიონის ჰაცრონი. (თავისთვის) მგონია კმარა კიდევ! (დედოფალი და მლვირა გამოჩნდებიან კარებში იმ ღროს, როდესაც მეფეს უნდოდა გასელა. ორივე მანტილიით არიან.

დედოფალი. (თავისთვის) ა!

მეფე. უკაცრავად (ისევ ბრუნდება). სკაპიონის პატრონის იციდე, მე აქედან მოშორებით მომეცი ითახი. (თავისთვის) საქმე კარგად მიდის. (ზავა შუა კარებში).

## სტენა VI

დედოფალი, დონა მლვირა და სკაპიონის პატრონი.

დედოფალი. ზავიდა მეფე. ჩვენ დავიგვიანეთ.

სკაპიონის ჰაცრონი. რა ხეპრულად ველაპარაკე მეფეს! (გავა დაფიქრებული ავანს სცენაზე) ეინ იფიქ-

რებდა!.. დე მოიტაცოს ის! ღმერთმა გზა შშვიდობისა მიანიჭოს!

დედოფალი. ვინ უნდა მოიტაცონ?

სკაპიონის ბატონი. ბაჩუმდით, თუ ჩემი სიტყვები გაიგონეთ. მე ისე წამამცდა.

დედოფალი. იმ რაინდმა ვინ უნდა მოიტაცოს?

სკაპიონის ბატონი. არაენა.

დედოფალი. შენ ამბობდი...

სკაპიონის ბატონი. მე არა მითქვამს რა. ან რა გვარი ცნობის მოყვარეობა?.. ზნებავთ ოთახი?— მიიჩოთვით.

დედოფალი. გეფიცები ღმერთს! მიპასუხე რაზე-დაც გელაპარაკებიან.

სკაპიონის ბატონი. თქვენ ფიცულობთ! და მეც დავითუავ ღმერთს—რომ მე თქვენთვის ოთახი არა მაქს, მიბძანდით საიდგანაც მობძანებულხართ.

დედოფალი. ის რაინდი ამაღლავე დაბრუნდება?

სკაპიონის ბატონი. და მერე თქვენ რა გნე-ბავთ?—იმისი ცოლი ხომ არა ბძანდებით?

დედოფალი. დიახ.

სკაპიონის ბატონი. იმისი ცოლი ხარ? ხა, ხა, ხა! ელგირა. ღირსეულად შეექცე ამ მანდილოსანს.

სკაპიონის ბატონი. თუ ეს იმ ბატონის ცო-ლია, მაშ ესა ყოფილა არც მეტი, არც ნაკლები. (თა-ვისთვის) სს!..

დედოფალი. შენ იცი ვინც არის ის რაინდი?

სკაპიონის ბატონი. მეონია უფრო უკეთესად, მინამ თქვენ.

დედოფალი. შენ იცი რომ ის მეფეა?

სკაპიონის ბატონი. როგორ!.. თქვენ?..

დედოფალი. მე ხომ გითხარი—რომ მისი მეულ-ე ვარ მეთქი.

სკაპიონის ბატონი. როგორ?

დედოფალი. შედეურო! ჟასუხე დედოფალს...

სკაპიონის ბატონი. დედოფალი!.. წმინდაო მფარელო!

დედოფალი. შენ მეფემ რა გითხრა?

სკაპიონის ბატონი. იმან მე მითხრა... იმან მე მითხრა...

დედოფალი. რა გითხრა? დაასრულე!

სკაპიონის ბატონი. მე გულითა მსურდა... მაგრამ არის დაბრკოლება... თქვენო ღიდებულებავ, მაპატიეთ... აი რა... მე თავის დღეში დედოფალთან არ მილაპარაკია.

დედოფალი. დედოფალი ისეთივე დედა-კაცია, როგორც სუვერელი და ბოლოშ ტუულად იხდი. აბა თქვი ჩქარა.

სკაპიონის ბატონი. რომა ვთქვა, შეეც ჩამოახდება ჩობინებს ჩემს თავს.

დედოფალი. და თუ არ იტყვი, დედოფალი ამა-ლამევ უბძანებს შენს ჩამოხრიბას.

სკაპიონის ბატონი. როგორ,—თქვენც ინ-ბებთ ჩემს ჩამოხრიბას?

დედოფალი. შენ ამბობდი!

სკაპიონის ბატონი. მევე ამოეირჩიო ჩემი ჩა-ჩამოხრიბა?

დედოფალი. ზეფიცები პატიოსნებას არაუერი დაგიშავებარა, თუ რომ მეტყვე ამ საიღუმლოს.

სკაპიონის ბატონი. ნამდეილად? მაშ აღარ ჩა-მახახრიბა? მიბოძეთ ნება ფქებზე გებშბოროთ.

დედოფალი. თუ კიდევ მოთმინებიდგან გამო-მიყვან, უარს ცყობ ჩემს დაპირებას.

სკაპიონის ბატონი. ძარგი სენიორა. აქ, სას-ტუმრიში, სცხოვრებს ერთი ქალი. ძალიან ლამაზია, სახელად ალდარა ჰქიან.

დედოფალი. ბაგრძელეთ.

სკაპიონის ბატონი. მევე... რაც იყვეს, იყ-ვე... მევე, როგორც თქვენმა ღიდებულებამაც ბძა-ნა ისეთივე კაცია, როგორც სხევბი. მერე... მტერი მძლავრია... მსეა ყოველთვის... განძია სწორეთ, გან-ძია ის ქალია...

დედოფალი. მერე?

სკაპიონის ბატონი. ბოლოს პაწაწინა ცოლო... სიცელქე... სასტიკათ არ უნდა ვსჯიდეთ.

დედოფალი. რა მერე, რა? ეხლა შენ მოტაცე-ბაზე ლაპარაკობდი.

სკაპიონის ბატონი. დიახ... იმას ამაღამ უპი-რებს მოტაცებას; მე ყოველივე მომზადებული მაქს.

დედოფალი. (თავისთვის) ღმერთო ჩემო! ღმერ-თო ჩემო! (მაღლა) სად არის მისი ოთახი?

სკაპიონის ბატონი. (უჩვენებს კარებზე, რომე-ლიც კარიღორში გადის) აი აქ არის, სენიორა.

დედოფალი. თავისუფალი ოთახი ხომ გაქს?

სკაპიონის ბატონი. აი აქვე შშვეეირი ოთახი გახლავთ (მარჯვენა კარებზე უჩვენებს).

დედოფალი. ძარგი და წადი მეფესთან მოეიდეს მის მოსატაცებლად.

სკაპიონის ბატონი. (მიღის და ისევა ბრუნდე-ბა). მითმა ღიდებულებამ მიბძანა სანთელი ცველგან გაქერითო, თუ ის სინათლეს დაინახავს, იფიქტებს რომ...

დედოფალი. ის სინათლეს ვერ შენიშნავს, (სკა-პიონის პატრონი წაერა და კიდევ დაბრუნდება).

სკაპითის ბატონი. (დაიჩოქებს დელოფლის წინ) გენაცეალე, დედოფალო, ხომ არ ჩამომახრინ- ბენ?

დედოფლი. ბლარა, თუ ჩემს ბანებას შეასრუ- ლებ.

სკაპითის ბატონი. მე მივდივარ (თავისთვის) დიდი ბედნიერებაა ემსახურებოდე მეფებს, მაგრამ უფრო კი კარგი იქნებოდა იმათ თავის დღეში არ შეჰვედებოდე.

ს. 6 —თ— ძესი.

(გაგრძელება იქნება)

ქართული თეატრის ნიჭირ მოთავაშას პასილ  
აგაშიძეს

(ზენეფისზე, 22 ოქტომბერს 1886 წ.)

ღმურთმა ქართული თეატრებს  
მაგრად გაედგათ მირია;  
ჰეგანდეთ თქმენ გებარი ერთგული,  
არ აარიდონ შირია.

რომ მათ გვაჩვენთან ჯ-გ რგა,  
მუდმისი გასაჭირია;  
გვითხრან: იშრომეთ, ისწავლეთ,  
ნუ დაგიღიათ შირია.

სწავლას და გამოცდილებას  
შარგა დაუგდეთ უქრია;  
გინც უდალატის, გაი მას,  
იუგეს დგომისგან გრულია!

ავ-გარების გამოსახატად,  
იცოცავეთ ქვეშის შირსალ,  
განაცემეთ თქმენი ხელობა,  
მნათობო თქარისათ!

თეატრის მუშა.

რედაქტორი და გამომწემელი გ. აბდშიძე.

გ ა ნ ც ხ ე ა ღ ე ბ ა ნ ი

საუკელ-კვირათ ლიტერატურული და მსატერიალითი გაზეთი

## „თ ე ა ტ რ ი“

მილება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირისაბით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქადაქი, აგრეთვე გარეშე სელის მომწერთათვის დის ხუთი (5)

მანეთი, ნახევარის წლით — სამი (3) მანეთი. სხვა გადით ხელის მოწერა არ მიიღება.

აწყვე 1886 წლიდან აპარი შერეთელი დამაუკიდებელ მონაწილეობას მიიღებს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; აღრესი: თიფლის. ვЪ редакцію „Театръ“.

იბეჭდება და ჩქარა გამოვა  
თხ. - მოქმედებისა ისტორიული დრამა  
თხ. თ. აპ. წერილისა

## ი ღ ა მ ა რ ც ე ი ე რ ი

**რ**ადგანაც ეს დრამა დაიბეჭდება ორასი ეგზემპლარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველ-თაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდვე ხელის-მოწერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს «თეატრის» რედაქციას.

ფასი თო შაური

## ს ტ ა მ ნ ა

### მ ე ლ ი ქ ი შ ე ი ლ ი ს ..

თვალისწი — სასახლის ქან., არწიუნასეულ ქარ-ჯასლაში, ქართული თეატრის ქაემო სართულაში.

იდებს უოგელ გერას სასამარ საქმებს სახუ-ჭდევათ: გაზეთები, წიგნები, ბროშურები, აგრეთ-ბე გოგელ-გვარ ბლანკები, გერტანციების, სხოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირადებს და სხვ.

სისუფთავეზე და დანიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა ბირთას აძლევს საქმის მომტანო.

სტამბა კისრულობს კურეგრუმის გასწორებას და ბროშურების გამოყენებას, უკეთ ზაკაზის მომცემი ისურვებენ.

დაბაჭდა და ისყიდება გ. ჩ. რევიზის მაღაზ. აშა

რაბიზონ პრუზო

რუსულიდეან შემოკლებითი თარ. მარ. ჩაჯანა. შეილისა.

ფასი 10 გრ.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 1 марта.


## ს უ რ ა თ ე ბ ი

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

კაპი შესრული

ილია ჭავჭავაძე

გრ. ორგელიანი



გიორგი ერისთავი

ცაგენი ენა

ჩინებულ ადამის ნდროვის ქადაგზე  
მარცობა ა. ბერიძეს

ისყიდება გრაფურავის წიგნის მაღაზიაში,  
კუკის ხიდის ყურაზე, ზუბალოვის სახლებში  
და ი. საფაროების ბაკალევინი მაღაზიაში, არწ-  
რუნისეულ ქარეასლაში.

გინე ას ან მეტს სურათს გამოიწერს, მა-  
ნახ თათო სურათი 16 გვ. და ფოტობა.

გაიხსნა ხანში, ფოტოის სტანციის პირ-და-პირ

გიგას მაღაზია წერილისა,

რომელშიაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული  
წიგნები, რუსული და ქართული სახელმძღვანელოები  
და კაცულარიის უკეთ საჭიროებანი. ხონი. ენა-  
жийский магазинъ Церетели.

Типография Меликова. სტამ. მელიქიშვილისა.